



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. არ შეიქმნას საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით (№07-3/269, 27.12.2018) გათვალისწინებული 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

თამარ ჩუგოშვილი

თბილისი,
2019 წლის 29 მაისი.
№4717 – III